

პარტნიორებთან თანამშრომლობა და ახალი LDA-ების გახსნა უკრაინაში

2015 წელს, მას შემდეგ, რაც დნიპროში გაიხსნა პირველი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, ხოლო ორი წლის შემდეგ მარიუპოლში ALDA გახდა უკრაინის სტრატეგიული პარტნიორი. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ აღიარებული, როგორც დიპლომატიურ საქმიანობათა ხელშეწყობის ინსტრუმენტი, LDA-ები აჩვენებენ დეცენტრალიზებულ თანამშრომლობაში ინვესტირების და ადგილობრივი რეალობის გაუმჯობესების პოზიტიურ შედეგებს.

განსაკუთრებით ახლა ომის პირობებში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს, ALDA მოწოდებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერისთვის. ომის დაწყების შემდეგ, ასოციაცია მუშაობს შექმნას პლატფორმა, რომელიც გააერთიანებს საერთაშორისო და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს უკრაინის ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობისთვის.

გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრების თემა გახლდათ ახალი სააგენტოების გახსნა ვინიცაში, ოდესაში, ხარკოვში, ბუჩაში, მიკოლაივსა და რივნეში.

ALDA შეუერთდა „რეგიონთა ევროპულ ალიანსს უკრაინის აღდგენისთვის“, ისევე, როგორც „უკრაინის/ევროპის რეგიონთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფს“.

ასევე, ეწვია ბუჩას მუნიციპალიტეტს და გამართა შეხვედრა დნეპროპეტროვსკის რეგიონალურ საბჭოსთან.

ALDA-მ შეძლო წარმატებით დაემყარებინა კავშირი პოტენციურ პარტნიორებთან საერთაშორისო დონეზე, რომელთაგანაც დაიწყო ძლიერი და ნაყოფიერი თანამშრომლობა ექვსი ახალი სააგენტოს გახსნის მიზნით ვინიცაში, ოდესაში, ხარკოვში, ბუჩაში, მიკოლაივში და რივნეში.

ასოციაციის ძალისხმევას მოწმობს - „ALDA-ს ფლაგმანი ინიციატივა უკრაინაში“ - LDA-ების დაარსებისთვის და მხარდაჭერისთვის ღია მოწოდება.

ALDA-ს მიაჩნია, რომ საერთო ქმედება და ქვემოდან ზემოთ მიდგომა ხელს შეუწყობს უკრაინის რეკონსტრუქციას და უფრო ძლიერი საზოგადოებების ჩამოყალიბებას.

იხილეთ სხვა აქტივობები:

- ALDA-ს ვებინარი „ინფორმაციის გაცვლა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების წარმომადგენლებსა და ALDA-ს წევრებს შორის უკრაინაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ALDA-ს ქმედებები და სტრატეგია უკრაინაში საგანგებო სიტუაციების დროს“ (19.04.2022)
- ერთობლივი ძალისხმევით ხელი შევუწყობთ უკრაინაში LDA-ების მუშაობას. რა არის შემდეგი? (დონორთა კონფერენცია 22.06.2022)
- მრავალმხრივი მიდგომა უკრაინის რეკონსტრუქციისთვის: ALDA, CORLEAP და ჩეხეთის თავჯდომარეობა (04.11.2022)
- დაინტერესებული მხარეების და პარტნიორების შეხვედრა გადანსკში LDA Mariupol-ის მხარდაჭერის მიზნით (24.02.2023)
- დნეპროპეტროვსკის რეგიონალურ საბჭოსთან და LDA Dnipro-თან თანამშრომლობით იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარება და უკრაინის რეკონსტრუქცია (09.03.2023)